

შპს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის  
აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად საკონკურსო კომისიის  
სხდომის

ოქმი #1

ქ. თბილისი

20 მარტი 2017 წელი

2017 წლის 20 მარტს შედგა აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად საკონკურსო კომისიის სხდომა

*სხდომას ესწრებოდნენ:*

*კომისიის თავმჯდომარე:*

ხუჭუა	ვაჟა	- გთსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი.
-------	------	--

*კომისიის წევრები:*

1. ლობჯანიძე გივი - გთსუ-ის საჯარო სამართლის კათედრის გამგე, პროფესორი.
2. ჭელიძე სერგო - გთსუ-ის სამართლის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი.
3. ვეკუა მარინე - გთსუ-ის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.
4. ალადაშვილი გელა - გთსუ - ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

*კომისიის მდივანი:*

დევდარიანი ქეთევანი - (ხმის უფლების გარეშე) გთსუ-ის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი.

## **დღის წესრიგი:**

1. აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა. /მომხსენებელი, პროფ. ვაჟა ხუჭუა, კომისიის თავმჯდომარე/
2. კონკურსანტთან გასაუბრება.

## **მოისმინეს:**

პროფესორ ვაჟა ხუჭუას ინფორმაცია, აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თაობაზე.

პროფ. ვაჟა ხუჭუამ აღნიშნა, რომ შპს გოსუ-ის რექტორის მიერ 2017 წლის 24 იანვრის გამოცემული ბრძანების (#01-01/05) საფუძველზე გამოცხადდა ღია კონკურსი. ბრძანებით განისაზღვრა განაცხადებების წარმოდგენის ვადები 2017 წლის 01 მარტიდან 2017 წლის 10 მარტის ჩათვლით. კონკურსის დღე - 2017 წლის 20 მარტი, სააპელაციო ვადა - 3 დღე, საბოლოო შედეგები 2017 წლის 24 მარტს, (ინფორმაცია განთავსებული იყო ვებ-გვერდზე და საქართველოს პერიოდულ პრესაში - გაზეთი „ახალი განათლება“ 26.01.2017წ.-01.02.2017წ.)

კონკურსის საფუძველზე უნივერსიტეტში ასარჩევი აკადემიური პერსონალის რაოდენობა განისაზღვრა 1 კაცით (კერძო სამართლის კათედრა - 1 ასოცირებული პროფესორი), კონკურსში მონაწილეობისათვის დოკუმენტაცია წარმოადგინა 1 კანდიდატმა.

კანდიდატის დოკუმენტაცია წარმოდგენილი იქნა ვადების დაცვით.

საკონკურსო მოთხოვნები და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა განსაზღვრული იყო ზემოაღნიშნული ბრძანებით და განთავსებული იყო ვებ-გვერდზე, რაც ინფორმაციას საჯაროსა და ხელმისაწვდომს ხდიდა აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველთათვის.

გასაუბრებაზე გამოცხადდა 1 კანდიდატი.

კომისიის თავმჯდომარემ, ვაჟა ხუჭუამ კომისიის წევრებს გააცნო კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მისი შესაბამისობა მოთხოვნებთან, კერძოდ:

1. **ბ-ნი ნიკოლოზ ფიცხელაური**, რომელმაც კანდიდატურა წარმოადგინა სამართლის ფაკულტეტზე (კერძო სამართლის კათედრა) ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე. კომისიის თავმჯდომარემ წევრებს გააცნო წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ისაუბრა მის სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობაზე. ბატონი ნიკოლოზი 2015 წლიდან ეწევა სამეცნიერო - პედაგოგიურ მოღვაწეობას. 2007 წლიდან მოღვაწეობდა იუსტიციის სამინისტროში, შინაგან საქმეთა სამინისტროში. ხოლო 2015 წლიდან დაინიშნა შპს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის კერძო სამართლის

კათედრის ასისტენტ პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე, ასევე სამეცნიერო განყოფილების უფროსად. მას გამოქვეყნებული აქვს 5 სამეცნიერო ნაშრომი.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა შემდეგ გარემოებას:

ა) უნივერსიტეტის შინაგანაწესის 21-ე მუხლის „აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი“-ის მე-2 პუნქტის თანახმად „ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება“. დღეისთვის ნ.ფიცხელაურს არ გააჩნია სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის 3 წლის გამოცდილება, მაგრამ ამავე მუხლის მე-5 პუნქტი „საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება განისაზღვროს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ აკადემიური თანამდებობების დაკავების შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია“.

ბ) 2007 წლიდან 2015 წლამდე ნ.ფიცხელაურის სამეცნიერო-პედაგოგიური, პროფესიული მოღვაწეობა და სერტიფიკატებით დადასტურებული კვალიფიკაციის ამაღლების სხვადასხვა ტრენინგებში მონაწილეობა საშუალებას აძლევს საკონკურსო კომისიას განიხილოს ნ.ფიცხელაურის ასოცირებულ პროფესორად არჩევის საკითახი.

კონკურსანტს დაესვა კითხვები სამეცნიერო-პედაგოგიური და პროფესიული მოღვაწეობის, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს, მის მიერ წარმოდგენილი სილაბუსებისა და დისციპლინების სწავლების კონცეფციის (ბაკალავრიატსა და მაგისტრატურის დონეების მიხედვით) თაობაზე, ასევე სწავლის თანამედროვე მეთოდებზე. მისი პასუხები დადებითად შეფასდა.

კანდიდატთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს კომისიის წევრებმა.

კანდიდატის საკითხი გატანილ იქნა კენჭისყრაზე, რის შედეგადაც კომისიის წევრებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება და

### **დაადგინეს:**

1. არჩეულ იქნეს შპს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე 4 (ოთხი) წლის ვადით შემდეგი კონკურსანტი:

### **სამართლის ფაკულტეტი**

#### **კერძო სამართლის კათედრა:**

ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე:

ნიკოლოზ ფიცხელაური

2. აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
3. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საუნივერსიტეტო სააპელაციო კომისიაში;
4. სააპელაციო ვადა განისაზღვროს სამი სამუშაო დღით კონკურსის ჩატარებიდან; ( 21, 22, 23 მარტი)
5. კონკურსი დასრულდეს და საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს 2017 წლის 24 მარტს.

კომისიის თავმჯდომარე:

პროფ. ვაჟა ხუჭუა

კომისიის წევრები:

პროფ. გივი ლობჯანიძე

პროფ. სერგო ჭელიძე

პროფ. მარინე ვეკუა

პროფ. გელა ალადაშვილი

მდივანი:

ქეთევან დევდარიანი